

მწერლი

1883-1888

«მწერლი» გამოდის თვეში ორჯერ, უკვეთ თვის თხუთმეტის და ოც-და-ათ რიცხვებში. და—

გ ა ზ ე თ ი ს თ ვ ა ს ი:

«მწერლი»

12 თვით . . . 5 მან.	12 თვით . . . 6 მან.
6 — . . . 3 —	6 — . . . 4 —

გაზეთის ფულის და უკვეთ გვარი წერილების გაგზავნა
შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *В. Кеширишвили, В. А.
редакции „Микемси“ (Пастырь).*

უკველი სტატიები და კორრესპონდენციები, რომელიც
რედაქციაში იქნებან გამოგზავნილი დასახელდაგათ, უთუოდ
გრულად და გასაგებად უნდა იყონენ ავტორთაგან ხელ-
მოწერილი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება
ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიძებდნონ.

სტატია, რომელიც არ დაბეჭდება, სამი თვის განმავ-
ლობაში შეიძლება ავტორებს მასის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიღებისას რესულ ენაზედ დაწერილიც და
თარგმნით დაიძებდებან.

მართლ-კახეთის ეპარქიის საგლედელოების შარ.

მოგადიზნელთა პრეზა გ. თბილისში.

ჩენება მციონისტებმა უკვე უწყიან, რომ მაღალ
უკველად სამღვდელოის, მთავარ ქადაგზის პლა-
დის ბრძნებით დანიშნული იყო მართლ-კახეთის სა-
მღვდელოების წარმომადგენ ელითა კრება ქ. თბილისში
16 თებერვალს. მს კრება მარტო სასწავლებლების
საქმეების შესახებ არ იყო დანიშნული. ახალი მწერლის
მთავრის აგან სამღვდელოების წარმომადგენ ელითა დაბა-
რებული იყენენ უმთავრესად სხვა-და-სხვა საეპარქიო
საქმეებზე მოსალაპარაკებლად, ამისათვის ამ კრებაზე
დაპულატებოთ ერთად დაქმინენ თითქმის უკველა
ბლადობინები მართლ-კახეთის ქარქისა.

16 თებერვალს თითქმის უკველა დაბარებული
დაპულატები და ბლადობინები გამოცხადდენ სასული-
ოთ სემხიარის ერთ დიდ ზალაში. პარაკლისის გა-
დახდის შემდეგ დაპულატებმა აღირჩიოს თავს მჯდომა-
რის თანამდებობაზე კანდიდატში. შეიდ კანდიდატში
შემეტეს ხმით თავს-მჯდომარედ აღმოჩეულ იქმნა

უკარელის უკველების მღვდელი ნ. ხუკიევი და საქმის
მწარმოებლად მღვდელი მიხელ ხელავე და ლივენ-
ცოვი. თავს-მჯდომარის აღრჩევის შემდეგ მთელი კრე-
ბა გამოცხადდა მისი მაღალ უკველად უსამღვდელოე-
სობის, საქართველოს ექვანისის სასახლეში. აქ,
ზღაპრი, შეკრებილ სამღვდელოებასთან გამობრძანდა
მათი მაღალ უკველად უსამღვდელოესობა პალლადი,
რომელმაც მიჰმართა კრებას შემდეგი სიტყვით: «ლეთი-
სა და მართოვლობის განჩინებით მე ვიქმენი დანიშ-
ნული საქართველოს უკველების მწერლისთ-მთავრიად-
ლებისათვის მე მოგიწვევთ თქვენ, ჩემის ახალის სამ-
ღვდების წარმომადგენ ელითი და ბლადობინი, რომ გა-
გიცნოთ მე თქვენ, ჩემი ხელ-ქვეითნი, და თქვენ მე,
თქვენი ახალი მწერლისთ-მთავარი, გამოცანით მე, გა-
მაცნობეთ თქვენი თავიც და შეკრთხეთ ერთად და
საზოგადო საშუალებრივ ვეცადოთ და აღვადგინოთ
ოდესმე ბრწყინვალე უკველები, თქვენი დახმარება და
შემწეობა დიდ სარგებლობას მოუტანს იმ საქმეს,
რომელსაც ჩენ საზოგადოდ ვემსახურებით».

«ეს დაგრძანეთ თქვენ არა მარტო სასწავლებლის
საქმისათვის, არამედ საეპარქიო საქმეებზედ მოსალა-
პარაკლისადაც. ამისათვის მე წარმოუდგენ თქვენს კრე-

ბას იმ საგნებს, რომლებზედაც ეხლავე მოგელაპარა. კებით თქვენ, და რომლის ასენა და საქმედ ქცევა დიდ სარგებლობას მოუტანს ჩემს ახალს სამწესოს. სრული იმედია, რომ თქვენ, როგორც ჩემი დამხმა-რენი გარდაც ცემა სხვათაცა ჩემს სურვილს და წა-დილს. ჩემთვის სასიამოენოა თქვენი ნახვა და თქვენ-თან საუბარი, თქვენთვისაც, ვეღონებ, სასიამოენო იქმნე-ბა ჩემი, თქვენი ახალი მწყემსთ-მთავრის, ნახვა და გაცნო-ბა». შემდეგ ამ სიტყვებისა მათმა მეუფებამ ყველანი მიწვია დამსხდარიცნენ მისი სახლის ერთ დიდ ზალაში. მწყემსთ-მთავარი დაბრ ძან და სამღედელოების წინ დაუწყო საუბარი კრებას სხვა-და-სხვა საეპარქიო საქმეების შესახებ. აი ის წინადადებანი, რომლებზედაც მწყემსთ-მთავარი ტკბილად ებასებოდა კრებას თითქმის ჭო-ლი სამი სათი.

1) რა საშუალებაა საჭირო განახლებისა და გა-შვერიერებისათვის იმ ტაძართა, რომელნიც შესა-ნიშნავნი არიან თავის სიწმიდით, ისტორიულის შინ-უნელობით და არხიტექტურით.

2) მეცადინეობა მღვდელოთაგან ხშირად წარვა-ლოცვის აღსრულებისათვის და სამრევლოთა ხშირად ეკელესიაში სიარულისათვის, სხვა-და-სხვა ზომების ხმარება ამისათვის, განსაკუთრებით სიტყვა—ქადაგე-ბათა გახშირება.

3) მეცადინეობა სამღედელოთაგან დაარსებისა-თვის წიგნთ-საცავთა თავის ეკულესიებით, რომელ წიგნთ-საცავებში უნდა იმექონებოდეს განსაკუთრებით წმიდა მამათა ცხოვრება და მათი შრომა, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი, და სარწმუ-ნოებრივი და ზეობრივი შინაარსის წიგნები.

4) რაც შეიძლება ხშირად კითხვა სარწმუნოებ-რივის შინაარსის წიგნებისა სასმენელიად მრევლისა ეკულესიაში და გარეშე ეკულესიისა.

5) მრევლთა წაქეზება მონაწილეობის მიღებისა-თვის საეკულესიო კითხვა-გალობაში.

6) სისწორით და ნამდილად საეკულესიო სა-ბუნების წერისა და წარმოებისათვის.

7) ხატების გავრცელებისათვის ოჯახებში მართლ-მადიდებელ მცხოვრებთა შორის, იქ განსაკუთრებით, სადაც ხატები ძეირად იპოვება ოჯახებში, აგრეთვე პა-ტარა ჯვრების ხმარების გავრცელება ბავშვის მო-ნათვლის დროს.

8) რაც შეიძლება საუბრებისა და ქადაგებათა ხშირად წარმოთქმა ეკულესიის გარეშე.

9) მეცადინეობა სამღედელოთა მიერ განმრავ-ლებისათვის სამრევლი სკოლებისა, რომ მათმა რიცხვ-მა მოიმატოს დღევანდელის სკოლების რიცხვზე და მონაწილეობის მიღება მათში მაეშვების სწავლებისა-თვის კურს დასრულებულთაგან ვაჟებისა და ქალების სასწავლებლებში.

10) მეცადინეობა სამღედელოთა დაწესებისა-თვის საეკულესიო სამხრუნველოთა ყველა ეკლე-სიებთან.

11) ზავრცელებისათვის და უმჯობესად წაყვანი-სათვის სანთლის წარმოების საქმისა.

და 12) მფლიონის სასულიერო სემინარიასთან სპარალელო კლასების შენობის ავება და ამ შენო-ბისათვის საჭირო ფულის, 40000 მანეთის წყაროების გამორაცხისათვის.

ას ექსარხოსის მიერ წინად მოფიქრებული სა-ბასო კითხვები, რომლებზედაც მათი მაღალ ყოვლად უსამღედელოებობა, თათქმის, სამი საათი ებაასა კრე-ბას მამა-შვილურად. ბასობის დროს ყველასაგან ისმენდა საეჭვო კითხვებს, რომელსაც ზოგიერთი სამ-ღედელოების წარმომადგენელები განაცხადებდნენ და ყველას მოსწრებულს და მშენიერად მოფიქრებულს განმარტებას აძლევდა. შველა ეს ზემო მოყვანილი წინა-დადებანი განუმარტა სამღედელოების კრებას მათმა მაღალ ყოვლად უსამღედელოებობამ. მისცა თავისი მხრით დარიგება, თუ როგორ უნდა მოეყვა-ნათ სისარულეში ეს წინა-დადებანი; აკურთხა იგინი და გამოუტადა მათ, რომ ყველა ამ წინა-დადებაზე კარგად მოეუიქრათ კრებაზე და თავის მსჯელობაზედ ეურნალი დაედგინათ. პგრეთვემათი მეუფება დაპირდა კრებას ყელა წინა-დადების შესახებ შემწეობის აღმოჩე-ნას და დახმარებას. ამასთან ღარიბი ეკულესიებისათვის მისცა დეპუტატებს რესენიდვან შოთანილი მრავალი ნახმარი შესამოსლები და საეკულესიო ნივთები.

17 თებერვალს, 10 საათზე გაიხსნა კრება. პრე-ბა შეუღა პარველა საგნის განხილვას, ე. ი. ჟა-შეუღება საჭირო განახლებისა და განმშენებისათვის სიწმიდით, ისტორიულის და არქიტექტურის მხრით შესანიშნავ ტაქტობა. ამ კითხვამ დადი ბასი გამოიწ-ვია კრებაში. მრთის მხრით დეპუტატები ამტკიცებდენ, რომ ჩემ არასუვერი ღონე არა გვაქს ამისთანა შესა-ნიშნავი ეკულესიების განახლებისა და გამშენებისა-თვისო. დეპუტატმა მღვდელმა ქარბელა შვილმა ამ საგნის შესახებ, სხვათა შორის, წარმოსთქვა შემდეგი:

მოსაზრება: «უწინ ჩვენ მამა-პაპათ აუგიათ ის მშვენიერი ტაძრები, რომელთა არხიცექტურა და ჩუქურთმა — ქანდაკება დღესაც აკვირებს მთელს განათლებულს კულტურობას. ამ ტაძრებისათვის ჩვენ მამა-პაპათ შესწირეს მთა ბარი, სახანა-სათესი მიწები, ტყეები და ახნაური შეილები ცმებიანათ. დღეს ეს მამულები ხაზის საუთრებაა. ამის გამო კეკლესიებს მოაკადათ უწინდელი საშუალება განახლებისა და გამშვენიერებისათვის ძევლი შესანიშნა ლაპტებისა. მსობელი საქართველოს ექსარხოს პალლადის, იწყებდებომლოს მთავრობის წინაშე, რომ ისეთ ტაძრებს, როგორც არიან მცხეთის ტაძრი, ალავერდისა, ზავნათისა, სამთავისისა, ნიკოლისა და წმიდა ნინოს მონასტერი, დაუბრუნდეთ ერთი მესამედი ნაწილი მაიც იმ ფულებიდამ, რომელიც ხაზის შემოსდის ამ კეკლესიების მამულებიდამ». ეს წინადადება თითქმის კეკლესიების მამულებიდამ».

ამ წინადადების შესახებ დეკანოზმა დ. ლამბა-შიძემ სთქვა შემდეგი: «საგნები ბერია, რომლებზე-დაც კრებამ უნდა იქნიოს მსჯელობა და ძლიერ საიდამოვნო იქმნება, რომ იმისთანა საგნებზედ არ ჩაოცხრდებოდეს ბასობა, რომელზედაც სამღვდელოების კრებას არც ნება აქვს და სრულებით მოუხერხებელიც არის. საეკლესიო მამულების ისევ უკან დატრუნების კითხა, ერთის მხრით, სრულებით შეუძლებელია და, მეორეს მხრით, არც კრებას აქვს ამისთანა საგნებზე მსჯელობის უფლება. საუმჯობესო არ ისევე ის ზომები ვიხმაროთ, რომელიც მწყემსთმთავრმა გვირჩია».

მწყემსთმთავარმა, სხვათა შორის, ამისთანა შესანიშნები კეკლესიების გასამშვენებლად და აღსაღენად ურჩია სამღვდელოებას ფულის შესკრებელი კონდაკების დარსება და ჩამოტარება როგორც მთელს ხაქართველოში, ისე რუსეთის გარემოებში. დაპირდა ამისთან დახმარებას და შემწეობის აღმოჩენას რუსეთში. საკრეო მათო მეუფება დაპირდა ფულებით დახმარებას კავკასიაში ჩართლ-მაღლიდებელი ქრისტიანობის აღმაღებელი საზოგადოებისაგან.

ზოგიერთი დეპუტატები უიმედობას აცხადებდნ ამ ზომების შესახებ და ამობილებ, რომ ჩვენს საქართველოში ვერაფერს ეკრ მოჰკრებს კაცი და, ვგონებთ, რუსეთშიაცარასფერს გამოიმეტებენ. ამ აზრის წინააღმდეგ დეკანოზმა დამბაშიძემ სთქვა: «ძლიერ შემცვდინი არიან ისინი, რომელიც ფიქრობენ, რომ ჩვენი ხალხი ისე გულ-გრილი იყოს, რომ ამისთანა შესანიშნები კეკლესიების გასამშვენებლად არასფერი გამოიმეტოს. არიცა შეეხება რუსეთის ხალხის სიუხვეს კეკლესიებისათვის შეწირულების შესახებ, ეს ხომ საეჭვო არ არის. უბედურება მხოლოდ ის არის, რომ ჩვენ არ ვიცით საქმეს ხელის მოვიდება, ჩვენ თვითონ არ ვეძებთ და არ ვაქცევთ ყურადღებას ამ შესანიშნები კეკლესიების განახლების საქმეს, არა გვაქს

იმდენი მოხერხება, რომ ვისმეს შთავავონოთ და შევაწირებით ჩამე ამ კეთილი საქმისათვის, თორემ ეს კელესიები აქამდინაც გამშვენდებოდენ. ჩემის აზრით კეკლებზე საუმჯობესო იქმნება დაინიშნოს კამიტეტი სამედიცინო პირთაგან, რომელთაც დაეღვინოს ვალად იზრუნონ ამ შესანიშნავი ეკულესიების აღდგინებისა და გამშვენებისათვის. სრული იმედი მაქს, რომ ეს კამიტეტი ჩვენი მწყემსთ-მთავრის დახმარებით და წინამდღრობით ბევრს საშუალებას აღმოჩენს და ბევრს შეწირულებას შექმნებავს, განსაკუთრებით რუსეთში». პრეზიდენტ ერთხმად გადასწუყისა კამიტეტის დარსება, რომელსაც ვალად დაუდგინა ზრუნვა შესანიშნავი ეკულესიების აღდგინებასა და გამშვენებაზე.

შესახებ მეორე კოთხვისა, ე. ი. მღვდელთაკან ხშირად წირეა-ლოცვის შესრულებისა და ხალხის ეკულესიებზე შეკრებისათვის, სალოცავად და სიტყვა ქადაგების წარმოთქმისა, ბევრი ბასი იყო კრებაზედ. თვითონ მწყემსთ-მთავარმა განუმარტა სამღვდელოების კრებას, რომ საზოგადოებას იზიდავს ეკულესიაში სალოცავად კარგად გაწყობილი გალაზა, გარკვევით და გაგებით კითხვა სამრროო და საეკკლესიო წიგნთა და კრძალვით აღსრულება წირეის და მღვდელ-მოქმედებისათ. განსაკუთრებით მოსწონს გლეხებს, უბრა-ძანა მწყემსთ-მთავარმა სამღვდელოებას, როდესაც მათი მოსწავლე ბავშვები კითხულობენ და გალობენ კლიროსტედ. ეცალენით თქვენც, რომ სამრეკლოთა ბავშვები მიაჩინოთ კითხვას და გალობას ეკულესიაში. ამ კითხების შესახებ მრავალი საფუძვლიანი მოსაზრებანი მოყვანების კრების წევრებმა. ზოგი აცხადებდა, რომ თვითონ მღვდლებმა და საეკკლესიო მოსამსახურეთ სრულებით არ იცავა გალობა და სხვას როგორ ასწავლიანო. ამისათვის კრებამ მიუცილებელ საჭიროდ დაინახა, რომ მედავითედ არ განწესდნ იმისთანა პირები, რომელთაც გალობა არ იცოდნ. შევლა სასულიერო სასწავლებლებში მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება ქართული გალობის სწავლას. სხვა-და-სხვა მოფიქრებისა და მოსაზრების შემდეგ კრებამ ერთ-ხმად გარდასწუყითა, რომ დაედგინოს ვალად სამღვდელოებას იმართოს ყოველი ღონისძიება, რათა ეკულესიებში აგალობის სამრეკლოთა ბავშვები და, ვისაც შეუძლია შეახვა, წარმოსთქვას შესაბამი ქადაგებანი. საღაც მღვდლებს არ შეუძლიათ შეთხვა სიტყვა-მოძღვრებათა და ქადაგებათა, მათ მიეცეს წინა დადება, რომ გამოიწერონ კეკლესიების ფულით ქადაგებანი ყოველად სამღვდელო

იმერეთის ეპისკოპოსისა და იმის ქადაგებიდან წარმოსთქვან დღის შესაბამი სიტყვა-მაძლვრებანიო.

მს მეორედ დგინდება ქურნალი შესახებ ამ საგნისა. სწორედ ამ საგან-ზედე იყო მსჯელობა 1885 წელში, იანვრის თოვეში და ამისთან-ავე განჩინება და-ადგინა სამღვდელოთა კრებამ შესახებ ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ქადაგების გამოწერისა. მს ჟურნალი დამტკუცებული იყო მაღალ ყოვლად უსამღვდელოების, მთავარ-ეპისკოპოსის პავლესაგან, მაგრამ სისრულეში არ მოსულა. რამ დააბრკოლა ამ მშვენიერი განჩინების სისრულეში მოყვანა? ჩვენი სამღვდელოების საზარ-ტემ, დაუდევერობამ და სიტყვა-ქადაგებას წარმოთქმის გულ-გრილობამ. მათ ჰქონათ, რომ სრულებით საკმარისა მარტო წირვა-ლოცვებს და მღვდელ-მოქმედების აღსრულება და ქადაგებითი სიტყვას ყურადღებას აღარ აქცევენ, ხალხს ცხოველი სიტყვით არ ელაპარაკებიან, რომლისა გამო სამწყობე სრულებით არ იყო და არ ესმის ყოველ ქრისტიანთათვ ს უსაჭიროები სწავლა საკმუნიკების შესახებ.

დამსწრე-

ს ე ნ ა კ ი ს ე ა ზ რ ი დ ა მ .

ამა წლის 19 იანვარს სოფელს პატარათში გადაიცვალა ადგილობითი მღვდელი მ. დავით ზაგუა. ზანსევნებულს თავის საქებური მოქმედებით დიდი პატივი და სიყვარული ჰქონდა დამსახურებული არა მარტო თავის სამრევლოში, არამედ ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთა შორისაც. ძერიად მოიპოვებიან ჩვენში დღეს ისეთი მღვდლები, რომელიც ისეთი პატივით და სიყვარულობით განვითარებული არა მარტო თავის სამრევლოში, არამედ ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთა შორისაც. ძერიად მოიპოვებიან ჩვენში დღეს ისეთი მღვდლები, რომელთაც ისეთი პატივით და სიყვარულობით ექცევიდნ უველა წოდების პირი, როგორც განსევნებულს ბაგუას.

მ. ზაგუა თუმცა ნივთიერად ლარაბი იყო, მაგრამ დრამის ფულებზე არავის არ აწესებდა. ზანსევნებული ყველას ეუბნებოდა: «როცა იშოვოთ, ზეგლებო, მაშინ მომეცათ დრამის ფული და, თუ ვერ იშოვით, ღმერთმა მშეიღობა მოგვეხს, არ შევაწუ-ხებოთ». ზანსევნებულმა მ. ზაგუამ ყველა იმ საქე-

ბურ თვისებათა გარდა, რომლებითაც შემჯობილი უნდა იყოს მღვდელი, იცოდა მშვენიერი ნუსხური ხელი, რომლის მზგავი დღეს, თოთქმის, მთელს საქართველოში არ მოიპოვება. ზანსევნებულს უწერია ბექი სხვა-და-სხვა საღმთო და საეკლესიო წიგნები, რათა ამ სახით გაევრულებია ეს წიგნები ხალხში, რომლის უტერქმა ნაწილმა ხუცური კითხვა არ იყოს. მიცალებულის დასაფლავების დღეს და-ესწრენ როგორც ამა სოფლის, ისე მახლობელი სამრევლოების თავადნი, აზნაურნი და გლეხნი და ყველანი ისე სტიროდენ განსვენებულს, როგორც თავის საკუთარს მამას. დასაფლავების წინად თავადმა დიმიტრი ჩიქოვანა წარმოსონება მიცალებულს სიტკა, რომელიც აქვე მოგვიავს შეუცელელად:

და ადგილი ახლად შესვენებული დასტო მამათ დავით

«დღეს გამომოწვევს მე სამაგალითო და სათო-ებითი ცხოველება შენი თქმად რათადენისამე სიტყვისა წინაშე საფლავისა შენისა გარეშე ყოვლისა პირ-მო-თხობისა; ნუ თუ იყოს ვინმე შენის ცხოვრების მცირდნე პირი, რომელიც, თუ არა სიტყვით, გულსა მინა თვისისა არა თანა-მიგრძნობდეს მე შემდეგში: შენ არ იყვი მიმდევი ანგარებისა, მოხვეჭრისა, აღვილ-მამულის შედენისა, პატივისა და ჯილდოს მოყვარეობისა და სხვათა უსარგებლო სულიერის ცხოვრებისათვის—ხარცელთა წარჩინებათა. შენ მარადის გახსოვდა სიტყვა საღმრთო წერილისა... შენ არ იყვი შერის მეძიებელი, ბაგე შენი თავისუფალი იყო მუდამ სხვათა განკითხესაგან, ძერის მეტყველებისაგან, მოყვა-სთა წყვეისაგან; მასთან არ იყვი ხორციელი გარე-მოებისაგან გამოყვანილი სუსტათ წარმოსათქმელად ამათ სიტყვათა, გული შენი სავს იყო ძმათა მოყვა-რებითა და სიხარულითა, ოდეს ხედვიდი მათ კეთილ-დღეობისა გარეშე ყოვლისა შეშურებისა, შენ უარს ჰყოფილი თითქმის ყოველთა მიუკიდებელთა საჭირო-ბათა ამა სოფლის ხორციელის მოქალაქებისათვის და მტკიცებ ადექა ღვთის სიტყვასა... იყვი ბეჯითი აღმასრულებელი საღმრთო მოვალეობათა და მღვდელ-მოქმედებათა და წესიერებისა. მომოცის წლის განმა-ლობაში განავებდი კეთილად სახლეულობათა შენ-თა, ზრდიდი შეიღლთა ჯეროვნად მცირე საშუალე-ბითა შენითა; ამასთანავე მიუხედველად ყოვლისა ამა გარემოებათა შეუდეგი შენ დიდ და მძიმე მოვალეო-ბის აღსრულებას. შენ აღადგინე აბედათის ნათლის-მცემლის ეკლესია, რომელზედაც თითქმის საკუთარი

საშუალება და შრომა იხმარება და მორთე იგი ყოველით საკულტო საჭირო სამკაულითა და ამ შრომისა და ხარჯისათვეს არ გისუბნებია და არც გიმეცადინებია მიგლო შესაბამი ჯრლდო. მამაო დაეით! რას უნდა მიეწეროთ ის, რომ შენ შესძლი ყოველივე ესე, როგორც მცირე მამულის მექონე პირმან? პლსრულება ამა მძიმეთა მოვალეობათა და ყველა შენი კეთილნი საქმენი და მოქმედებანი მიეწერებიან ერთსა მას მხოლოსა, უზენაას განგებასა, რომელსა ესვილი შენ. რამელი ქავენ უფროსა არა ნაკლებებინ იქმნენ ფონდისაგან კეთილისა. ღირსო მამაო დაეით, ამიერი-დგან გეთხოვებიან შენ თანამანი შენნი, საყარელნი ძენი და ასულნი შენნი, სრულიად ნათესაობა, კე-თილი მეგობრებიდა შენი სამწყსო; შენ ამიერიდგან ვერ იხილავ მათ და ისინი—შენ, ერთაიდგან დღეს უნდა შთავიდეს გვამი შენი საფლავსა შინა და მით აღსრულდეს განგება და ბრძანება ღვთისა; აქედან ცხადათ სჩანს, რომ სხეული შენი უნდა იქცეს მიწად და სულმან შენმან უკედავმან და მართალმან განის-ვენოს, სადაცა მართალნი განისვენებენ. შემდგომად ამასა ქვეყანასა ამას შინა რჩება ჩვენთანა სახსოვ-რად შენდა ერთი მხოლოდ შენი ღვთის-მსახუ-რება, სიმართლე, კაცო-მოყვარება, კეთილი ცხოვრება და სხვანიცა მრავალნი, კეთილ-სათონოებითი მოქ-მედებანი შენნი. შენ განატარე ქამნი ხორციელის-ცხოვრებისა, რომელიც არის ღირსო მისაბამისი ყვე-ლასაგან, მასთან ამა ღირსებითაცა განსვლა შენი ამ-მიერ სოფლით საუკუნოდ განსვენებულსა, გამზადე ბულსა საყოფელად ყოველთა შენებრ მართალთა სულთა თანა, თუმცა დღეს გხედვენ რა შენ კუბოსა ამას შინა მდგარესა, ჰელოვენ და ჰერიან უგული-თადესის მწუხარებითა და ცრემლითა ძენი და ასულ-ნი შენნი, ნათესავნი და მეგობარნი შენნი, მაგრამ ამავე ღროს არ მიეცემინ უნუკეშოსა მწუხარებასა, რადგან კეთილი თქვენი წინა-უდღების მათ ცხოვრება-ში, ვითარცა წარუვალნი მათგან და ნაყოფნი კეთილ გონიერებისა შენისანი. დაგასრულებ რა ამა სიტყვა-თა, ღირსო მამაო დავით, მრჩება მხოლოდ ღრო უკა-ნასწერი ამბორის ყოფისა და შენდობის გამოთხო-ვისა შენგან და თქმად სიტყვისა: «წალსა შინა აბრა-შმისას დაწესოს ღმერთსა სული შენი».

დამსწრე.

«მწყემსი»-ს კორესპონდენცია.

მ. მრდუათს (ნახიერანის მაზრაში) სამის მხრით არტყება მაღალი და დაბალი მთები, ხოლო მეოთხე მხრით ჩამოუდის მდ. არეზი 3—4 კერსის მო-შორებით; ეს მდინარე ჰერიტს სპარსეთიდ-გან. მდინარე არეზი თუმცა არ არის ძალიან დიდი, მაგრამ, რადგან ვიწრო ხევში ჩადის, ისე მიკვრის, რომ კაცი პირები დანახვაზე შეეშინდება, უმეტეს თუ თა-ვისებურათ დიდ ქვებსაც მიაგორებს ეს მდინარე.

ამ მდინარის ნაპირზედ ჩეენის სამზღვიდვან არიან საყარაულო სახლები, (იისტე), რომელნიც 10-15 კერსის მოშორებით არიან ერთი მეორიავან. ამ საყარაულოში სცხოვრებენ ქვეეითი ყაზახები—პლა-ტუნები. მა ყაზახები დღე და ღამ რიგ რიგობით ჰყა-რაულობენ სამზღვარს, რომ წესიერება სუფევდეს, და მეორედ რომ საარსეთიდგან დაუბაჟავი (კონტრანდა) საქონელი არ გამოაპარონ.

ამ ყაზახებმა წელს, 16-ს იანვარს მრდუათიდ-გან 30 კერსის მოშორებით დაიჭირეს რამდენიმე თა-თარი, რომელთაც დაუბაჟავი საქონელი გამოაქვრე-ბიათ.

ერთი ამ თათართაგანი აღმოჩენილა მართლ-მადიდებელი სარწმუნოების აღმსარებელი ყაზახი, ჩი-მიჩი, რომელიც ერთს დროში ისე როგორიათაც მი-სი დამჭერლები, ყარაულად ყოფილა აქ. იქი სპარ-სეთში გაქცეულა 1879 წელში და ამ დაჭერის დღემ-დე სამჯერ ყოფილა იგი ჩვენს სამზღვარში, მაგრამ, როგორც თათარი, ვერ უცენიათ, რადგან მთლად სპარსელს დამგვანებია შეხედულობით.

დაჭირებს შემდევ გამოკითხეს ამ კაცს თავის ენაობა-მან აღიარა, რომ იგი უწინ იყო მართლ-მადიდებელი, მაგრამ ეს სჯული მან დასტოვა და შეირთო თათრის წესზე ორი ცოლი. საინტერესოა, ვიცოდეთ, თუ რამ აიძულა ეს კაცი მიეცოვებია მართლ-მადიდებ-ლობა და მიელო მაპმადის სჯული? რამ აიძულა ეს კაცი, რომ მან დასტოვა წმ. ეკკლესია, სამშობლო თვისი მამული, დედ-მამის ღრმა სიყარულა, და ცოლ-შვილის აღერსა და შეუერთდა მაპმადის სჯულს და მის მეჩითს, რომელსაც თუ ნებით არა, ძალით ხომ მიაღებინებდნენ. მაგრამ, ჩეენდა სამშუხაროდ, ამ კაცს გარდა ბევრი სხვანიც ასევე მოქცეულან. 1880—1884 წლებში კიდევ გაქცეულა სამი ყაზახი: პოსტენკო და

პოლენიკოვი (ერთის გვარი არ უწყით), რომელიც დღესაც სპარსეთში სცხოვრებენ ერთი მეორის მეზობლად ახლო-მახლო სოფლებში. 1884 წელში ორ-დუბათის ადგილობრივი კომანდიდანაც გაქცეულა ერთი სალდათი ანატოლ ტომაშევიჩი; ეს ტომაშევიჩი მღვდლის შეილი ყოფილა. იგი მრადებათიდან 5—6 ვერსის მოშორებითა სცხოვრებს ცოლ-ზეილოთ სოფელ სიარუში.

ამ სალდათს აქაურ სალდათებთან ბევრჯელ უბასნია მღრნარის გაღმიღდგან და აუსნია თავისი მდგომიარეობა და თავისი შეცდომა, რომ გაიქცა თავის სამშობლოდგან.

თებერვლის სამში გაქცეულა ერთი ყაზახი — პლასტუნი, გვარად რიბასი და თან წაულია თავისი სახელ-მწიფო თოთი.

ღროა შეიტყოს კაცმა, თუ რად გარბიან სამ-შობლოდამ და მაჰმადდებიან ეს ქრისტიანები? მართლ-მაღიდებელი ეკულესის სწავლა-მოძღვრებას დღეს უფრო ყველგან მტკუცედ აქეს ფესვი გადგმული, და რა აიძულებს ამ პირთ ქრისტიანობის უარ ჰყოფას? საჭიროა, რომ ამასთანა შემთხვევებს საქმო ყურადღება მიაქციოს მთავრობამ, რომამ სენმა გავლენა არ იქონიოს სხვაზედაც.

—————

ნათვანა. [1/16]

ნეტავ მას, ვინც მოესწრება
იმ ბედნიერსა ხანასა,
როს კაცი კაცის დაჩაგვრით
არ მოეღლოდეს ღლენასა.

როს ამა ქვეუნის შვილები
სცხოვრებდენ ერთად ძმერათა,
ერთი მეორეს მათგანი
არ უჟურებდეს მტრულადა.

როს ერთის ჭირი მეორეს
მიაჩნდეს თავის ჭირადა,
ღლენით იმვებდეს, სტრებოდეს,
განიხარებდეს ძმერადა.

ერთის დაცემით მეორე
არ მოეღლოდეს შვებასა,
და მით არ ეურჩებოდეს
ჯვარცმულის წმიდა მცნებასა;

—
მდიდარი დარიბს ჟოველ ღლუ
არა ჰქელავდეს ფერითა,
ლუგმას არ სწვდიდეს პირიდამ
ფარისევლურის ხერხითა.

ჭაბუქაშვილი გელოვანი.

აზალი აშები და შენიშვნები.

24. ს ამა თებერვლის თოვეს შეკრებილება ყოფილა რზურგების სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოებისა. პრება ყოფილა მოწვევული სასულიერო სასწავლებლის საქმეებისა გამო. ამ კრებაზედ დასწრებია ყოვლად სამღვდელო ბურია-სამეცნიეროის ეპისკოპოსი გრიგორი.

* *

ჩვენ შევიტყეთ, რომ შოთის ქალაქის გამგეობას გადაუწყეტია, რომ ორი წლის ეადით უფასოდ მისცეს ბურია-სამეცნიეროის ეპარქიის მღვდელ მთავრის საღომად და საეპარქიო კანცელარიის მისათავებლად ქალაქის საკუთარი ორ სართულიანი ქვიტკირის სახლი. ამასთანავე ქალაქის გაზეობა მხად არის სრულებით დაუთმოს ეს შენობა ეპარქიის მთავრობას, თუმცა სასულიერო სასწავლებელი იქმნება გადატანილი ახალ სენაკიდამ ქალაქ შოთში. ქალაქის გამგეობა სხვა შემწეობასა და შეწირულებაზედ უარს ამცხადებს.

* *

ჩვენ ნამდევილად შევიტყეთ, რომ შინი მაღალ ყოვლად უსამღვდელოებობა, საქართველოს ექარხოსი, არქიეპისკოპოსი პალადი გაზაფხულამდის არ მიბრავდება ქალაქ შოთში.

«სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორაში დიდ-ხალი თხოვნები შეაქვთ თურმე და თხოულობენ წლოვანების მოწმობას ისინი, რომელიც უკანონოდ არიან ჩარიცხული ჯარის-კაცად მოსაწოდებელ სიაში. აშიტომ ზემოსხენებულს კანტორას უთხოვნია მთავარ-მთავართებელის კანტორარისათვის: განკარგულება მოახდინეთ, რომ სამხედრო პრისუსტსტუკი უკეთელად სინოდის კანტორის მეტ შემოწმებულ წლოვანების მოწმობებს არა თხოულ აბდინენ და სჯერ-დებოდნენ იმ მღვდლების მოწმობით, რომლის სამ-რეელოსაც ეყუფნის წლოვანების ქაღალდის ამღებიონ. ამ საგნის შესახებ ბ-ნს მთავარ-მთავართებელს მიწერ-მოწერა ჰქონია პეტრერბურგში და წარსულს თვეის მიწურულებში შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგისაგან შემდეგი პასუხი მოსელია: «ჩაღან ჯარის-კაცად მო-ხაწევ სიების შედგენის დროს შეწყნარებულია წლო-ვანების მოწმობიდგან ამოწერილი ცნობანი მღვდ-ლების მიერ, კანტორისაგან შეუმოწმებელნი, ამიტომ ის წლოვანების მოწმობაც უნდა შეიწყნაროს სამხედ-რო პრისუსტსტუკი, რომელზედც მღვდლელსა და საკ-კლეისიო კრებულს ხელი უწერიათ. ხოლო იმ შემთხ-ვევებში კი, თუ პრისუსტსტუკიამ ამ გვარ მოწმობის ს-მართლებე რამე ეჭვი აიღო, სინოდის კანტორის მი-ერ შემოწმებული ქაღალდი უნდა მოითხო-ვოს. («ივერია»).

* *

სოფელ შაქრიანიდამ (თელავის მაზრაში) ჩვენ ვეწერენ: «ჩვენი სოფლის ეკკლესისთანა ღარიბი ეკ-კლესია ვეონებ, ძეირად, მოიპოვებოდა ამ ჩვენს მაზ-რაში. სამი მღვდლი მსახურებდა ამ ეკკლესიაზე, მაგრამ არც ერთ მათვანს არ უმეტადნია ეკკლესის გამშევენებისა თვის, თუმცა ადგილობითი სასულიერო მთავარობისაგან ნაბრძანები ჰქონდათ ადგილობით მღვდლებს, რომ მათ შეეკონებით მრევლისათვის ეკ-კლესის შეკეთება და საჭირო ნიეთების სასყიდლად ფულების შექრება. ამ ბოლო დროს ამ ეკკლესიაზე დაინიშნა მღვდლად მ. სოლ. ფოფხაძე. მს სულიე-რი მამა დანიშნისათანავე შეუდგა რწმუნებული ეკ-კლესის გამშევენების საქმეს. მისმა სიტყვა-დარიგებამ გამოაღვიძია მჩევრი, რომელიც აქამიდე გულ-გრი-ლად უცქეროდა თავის ღარიბ ეკკლესის, მ. ფოფხაძემ მრევლის დახმარებით გაამშევნა ტაძარი, რისთვისაც მან მიიღო ლოცვა-კურთხევა საქართველოს ექსარხო-სად ყოფილის, მთავარ-ეპისკოპოზის პავლესაგან. ამა-

ვე მღვდლებმა თავისი ქადაგებით ბევრი აშაოდ მოაწე-მუნეობანი მოსამაც სამრეველოში, საიდამაც გააძევა მიითხავები. მ. ფოფხაძემ თავის ტკბილი ქადაგებით დიდი ზედ გაელენა იქმნია ერთ გრიგორიანთ აღმ-საჩებელ ქაღაზე, რომელმაც ამ მოძღვრის წყალო-ბით მიიღო მართლ-მადიდებლობა».

* *

საინგილოს ბლალოჩანის მღვე. სიმონ ლიაძისა-გან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი, რომლის და-ბეჭედას გვთხოვს იგი: „მ. რედაქტორო! ჩემდამო რწმუნებულ საბლალოჩინო მღვდლებსა და მედავით-ნეთა შორის მე შევჭრიდე ხუთი მანეთი და ორი შა-ური თბილის სასულიერო სემინარიის ღარიბ მო-წაფეთა სასარგებლოდ. მს ფულები შემოსწირეს მღვდლებმა: მ. ფილიშვილმა, ან. ხელსუპოვმა, ი. ტუკუშევმა და მ. პაჭიკოვმა თითო მანეთი; მედავით-ნეთ: ფ. მჭედლოვმა, გ. ხატიევმა, ს. ჩხიკვაძემ თი-თომ იქვე-ექვესი შაური, ხოლო მთავარ-დიაკონმა ი. მამა იაშვილმა ერთი აბაზი.

მს ფულები ჩემგან გაეცხავნა სემინარიის რედ-ტორს, არქიმანდრიტს პაისისს».

* *

როგორც სჩანს მართლ-მადიდებელი პალეტტინის საზოგადოების ანგარიშისაგან, წარსული წლის პირ-ველ მარტივდგან ამა წლის პირველს თებერვლამდის შემოსულა საწერო და შეწირული ფული სამას თორმოცდა თოთხმეტი ათას შეიდას ორმოცდა თოთხ-მეტი მანეთი.

* *

მომავლის თვის ივლისის თხუთმეტს იქნება ცხრასი წლის დღესასწაულობა, რაც რუსებმა ქრისტიანობა მიიღეს.

ჩვენ, ქართველებს არც ცხრასის და არც ათას-ცუთასი წლის დღესასწაულობა არ გაღავის დია!...

სწორი და მეტნიერი ქრისტიანობის სამწმოებასა და კეთილდღიური ზედამდებარება.

8 თ წ 1 2 2 8 1 6 4 8 7 6 9 2 8 0 8 1 3 0 8 .

საეკვესიო—ისტორიული მოთხრობა.

ცანი უთხრობენ დიდებასა და თავისა, და ქმნელისა ხელთა მასთაც მიუთხრობს სამყარო (ფსალ. 18, 1).

მთელი სამი საუკუნე ქრისტიანობა ებრძოდა კერპთ-თაყვანის მცენლობას. საზარელი, შეუბრა-ლებელი და უმედო იყო ეს ბრძოლა. წარმართო-ბა იბრძოდა ყოველი ღონით და უფლებით ალ-ჭურეილი და ხმარობდა სახმილსა, რომლითაც მუს-რაედა მოწინააღმდეგეთა; ქრისტიანობა ყოველივე ამის წინააღმდეგ ალჭურეილი იყო სასოებით ჰეშმარიტ ღმერთზე, სარწმუნოებით და მტერთადმი სიყვარულით. მრივე იარაღი ძლიერი იყო, ორივე იარაღი მამაკვდი-ნებელ ჭრილობებს აჩენდა მებრძოლთა. მრთის მხრით ქრისტეს აღმსარებელთა წინააღმდეგ მოქმედებდა თვე ხედი ძალა, რომელიც სწუვებიდა, სდევნიდა. და აწამებდა ქრისტიანებს; მეორეს მხრით—ღვაებრივი ნათელი სახარებისა ძლევა-მოსილებით ფანტავდა კერპთ-თაყვანის მცემლობის და ამაოდ-მორწმუნების სიბ-ნელეს. შეელასათვის ცხადი იყო, თუ ამ ჩხუბში ვინ დარჩებოდა გამარჯვებული: ქრისტიანე-ბი, რომელთაც უმოწყალოდ სდევნიდენ უსჯულობი, დღითი-დღე მრავლდებოდენ, ხოლო კერპთ-თაყვანის-მცემლი შესამჩევად მცირდებოდენ, თოვლივით დნებოდნენ დედა-მიწის ზურგიდან.

ბერი ძლიერი იმპერატორები რომისა მოქმ-დებდენ ქრისტეს სარწმუნოების წინააღმდეგ, და ბერი დევნა მოითმინეს ქრისტიანებმა ამ სამი საუკუნის განმავლობაში.

როდესაც რომის იმპერატორების ტახტზე აღი-და მაქსიმიანე, მან შენიშვნა, რომ მთელს იმპერიაში მძვინვარებდა სასტიკი დევნა ქრისტიანების წინააღმდეგ— ახალმა იმპერატორის ბრძანებამ შეაჩერა ეს სასტიკი დევნა, რომელიც მძვინვარებდა რომის კოცელ სა-ხელმწიფოში; ამიტომ მაქსიმიანეს პირველ მეფობის დროს ქრისტიანებმა ცოტა შეისუენეს; მაგრამ გაეიდა თუ არა რამდენიმე წელიწადი, ამ იმპერატორმაც, თა-ვის წინა მოადგილეთა მაგალითისა-მეტრ, გამოსცა ბრძანება ჯერ ცმულის თაყვანის-მცემელთა წინააღმ-დეგ. წინა დელი სასტიკი დევნა ქრისტიანების წინა-აღმდეგ ხელ-ახლად აღიძრა.

რომის მთელს სახელმწიფოში ხელ-ახლად იწყეს ქრისტიანების დევნა. სახელმწიფოის თვით ნაპირა-ქევენებში მცხოვრები ქრისტიანებიც არ ასცილდენ ამ სასტიკი დევნასა; სხვათა შორის დაუწყეს დევნა ქრის-ტიანებს შორეულ აღმოსავლეთშიც, ილიოპოლის სამთავროში. ილიოპოლის კონსულის მოადგი-ლემ მარიანმა ყოველივე ღონე იხმარა, რათა მტკი-ცედ აღსაულებია იმპერატორის ბრძანება და სრუ-ლებით მოეცო ქრისტიანების სახელი თავის სამთავ-როში. მან დაადგინა განსაკუთრებითი სამსაჯულო, რომელსაც უნდა გაესამართოდება ქრისტიანენი. ამ სამსაჯულოს წევრებად დაყენებული იყვნენ ილიო-პოლის პატივ-ცემულნი მოქალაქენი, რომელთა შორის ყველაზე მდიდარი და შესანიშნავი რე-ვინმე ღიოსკორი.

ღიოსკორს სიმღიღრეში ტოლიარა ჰევდა მთელს მაზრაში; მისი სასახლე სიმღიღრით ბევრად სჯობდა თვით კონსულის მოადგილის სასახლეს, ხოლო აღილ-მამულები იმდენი ჰქონდა, რომ ძლიერ აწრებდა შე-მოსავლის მიღებას. მთელი ილიოპოლის გა-ეშებო დიოსკორის დიდ-ძალი ვენახები ჰქონდა; ამ ვენახებში დიოსკორი ხ შირად მართავდა ხოლმე წვეულობას, რომელზედაც ესწრებოდა მთელი დიდ-კაობა და თვით კონსული; ვენახებში ღიოსკორის აღმენებული ჰქონ-და ძეირ-ფასი ტერმები, რომელიც ძეირფასი მორ-თულობით აჭარბებდენ მდიდარ რომაელთა ტერ-მებს. *)

მაგრამ მარტო ერთი სიმღიღრით არ იყო ბედ-ნიერი ღიოსკორი; იმის ბედნიერებას და ნუგეშს შე-

*) ტერმა ნიშნავს აბანოს; მაგრამ ძეელ დროში ამ ტერმებში იკრიბებოდნ სათამაშოდ, დროების გასატარებლად; ერთ სოტევით ეს ტერმები უდრიდენ ჩვენს კლუბებს.

აღვენდა ერთოდ-ერთი მისი ქალი ვარებარა. იშვიათი და უნაკლო სიძუცენიერება, მომხიბლავი ყოფა-ქცევა, მაღალი ნიჭი და სულის შეუმწიკვლელი ქველ-მოქმედება ამ ქალისა შეადგენდენ მამის ამპარტავნებას. ვარებარა კიდევ პატარა იყო, როცა მასს დედა მოუკვდა. დიოსკურიმა ჩააბარა თავის ქალი საიმედო აღმზრდელ ქალთა მზრუნველობას, და თავათ ცდოლობდა, რომ თავის საკუარელი ქალი მდიდრულად შეენახა. მოსიყვარულე მამა თავის ქალისათვის არ ჰიგავდა ოქროს, მარგალიტს, ძეირფას ქვებს და სხვათა. ვარებარას არც ერთ ამხანაგ ქალს არა ჰქონდა არც მეათედი ნაწილი იმ ძერფასეულობისა, რომელიც ჰქონდა თვით მასს.

თავის ქონებას დიოსკური მაღავდა სხეულისაგან, მაგრამ ამავე ღროს მან ქალაქს გარედ აღმენა მშვენიერი სასახლე, საღაც დააყენა ვარებარა და დააყენა მს მრევალი აღმზრდელი და მოსამსახურე ქალები. რომ ქალს არ მოსწყენოდა განცალკევებული ცხოვრება, დიოსკურიმა ძეირად მორთო ვარებარას სასახლე ყოველ ნაირი საუცხოვო ნივთებით და სასახლის გარეშემო გამშენა საუცხოვო ბალი, რომელიც ნამდევილ სამოთხეს წარმოადგენდა.

ვარებარა სრულებით კმარიფილი იყო. თავის მდგომარეობისა: რაღა უნდა ესურვებია მას კიდევ? ზაცალკევებული და საზოგადოებაზე მოშორებული ცხოვრება მას არ აწუხებდა; ის მხიარულად ატარებდა თავის ღროს აღმზრდელ და მოსამსახურე ქალების საზოგადოებაში. ზანსაკუთრებით ვარებარას უყვარდა თავის მშენებელი ბალი; ის უმეტეს ღროს ამ ბალში ატარებდა, ის აღტაცებაში მოჰყავდა ბუნების სიმშენებებს, ზრწყინვა-გალე მზის შუქს, ფრინვლების გალობას, ლურჯ ცას და ვარსკვლავთა ბრწყინვალებას...

— უხ, რა მშენებერა ქვეყნა! შამოიძახა, ერთ-ხელ, ახლ-გაზდა ქალმა, როცა ბუნების სიმშენები-რით აღტაცებაში იყო მოყვანილი და თავის მოხუცებულ გადასთან დასეირნობდა ბალში; — კურთხეულ არს ის, ვინც ასე საკირვლად მეტქმნა იყო!

